დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის
უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“,
მედიცინის ფაკულტეტის წესდება

თბილისი 2017

პრეამბულა

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (დტსუ) უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“, მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“ ან უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“) სამედიცინო განათლებაში სწავლებასა და კვლევებზეა ორიენტირებული, ახორციელებს სტუდენტთა მომზადებას სამედიცინო განათლებაში დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი კვალიფიკაციებისთვის; ფაკულტეტისთვის თანაზიარია ყველა ის ღირებულება, თემა, ა. შ., რაც ასახულია დტსუ-ს მისიასა და მიზნებში, და სამოქმედოდ სავალდებულოა დტსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა. შესაბამისად, ის მოქმედებს, როგორც უნივერსიტეტის გარკვეულ ფარგლებში დამოუკიდებელი სტრუქტურა (ერთეული, ნაწილი) პასუხისმგებელი (სხვა საუნივერსიტეტო ერთეულებთან ერთად) უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების და გეგმების რეალიზაციაზე. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ისეთ კომპლექსურ „სივრცეში“ როგორიცაა უნივერსიტეტი, საკუთარი საქმიანობისა და პასუხისმგებლობების სფეროს აღწერა; ამ საქმიანობის მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფისთვის საჭირო გზების, რესურსების, სტრუქტურების დოკუმენტში ასახვა; ასევე ფაკულტეტის საქმიანობაში ჩართულ პირთა და სტრუქტურათა უფლება-მოვალეობების, ურთიერთობების (ფაკულტეტის შიგნით და გარე-კომუნიკაცია) ფორმების, სფეროს, ა. შ. განსაზღვრა.

ნაწილი I

შესავალი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“, მედიცინის ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) არის დავით ტვილდიანის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ინტეგრალური ნაწილი, რომელიც განახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევით აქტივობებს.

მუხლი 2. ფაკულტეტის აქტივობები

მედიცინის ფაკულტეტის ძირითადი აქტივობებია:

- ❖ ჩაატაროს აკრედიტირებული სასწავლო პროგრამები სასწავლო გეგმის შესაბამისად:
  - მაგისტრთან გათანაბრებული (დმ) პროგრამები, რომლებიც დასრულდება საკვალიფიკაციოგამოცდებით. პროგრამათა კურსდამთვრებულს მიენიჭება „დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი“ (MD)

- დოქტორანტურა სრულდება დისერტაციის დაცვით; კურსდამთავრებულები მიიღებენ „დოქტორის“ (PhD) აკადემიურ ხარისხს

❖ უწყვეტი სამედიცინო განათლების ფარგლებში ფაკულტეტის წესების თანახმად განხორციელებული პროგრამა სპეციალისტების პოსტდიპლომური განათლების ჩათვლით

❖ სამედიცინო სფეროშისამეცნიეროკვლევა და უნივერსიტეტთან დაკავშირებულ/აფილირებულ დაწესებულებებში სპეციალისტთა მუშაობის, კონგრესების და კონფერენციების ორგანიზების ჩათვლით.

მუხლი 3. ფაკულტეტის სამართლებრივი მდგომარეობა

ფაკულტეტი არ არის ცალკე იურიდიული პირი; და იმ ქონების მფლობელი, რომელიც ესაჭიროება მის აქტივობებს; ფაკულტეტი იღებს გადაწყვეტილებებს და აქტებს უნივერსიტეტის სახელით საკითხებში, რომლებიც განხილულია უნივერსიტეტის მმართველ ჯგუფთან და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 4. ფაკულტეტის დასახელება, ადგილმდებარეობა, ემბლემა და ბეჭედი

- ფაკულტეტის სრული დასახელება: „უმაღლესი სამედიცინო სკოლა აიეტი, მედიცინის ფაკულტეტი“
- ფაკულტეტის ადგილმდებარეობა: დიღომი, ლუბლიანას ქ. 2/6, 0159, თბილისი.
- ფაკულტეტი გამოიყენებს უნივერსიტეტის ბეჭედს,ლოგოს,ემბლემას და ასევე საკუთარ (ისტორიულ)ლოგოს
- ფაკულტეტი გამოიყენებს ოფიციალურ მრგვალ ბეჭედს წარწერით (შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203)რეგულაციით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ნაწილი II

ფაკულტეტის უფლებები

მუხლი 5. ფაკულტეტის ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებები ან აქტები უნივერსიტეტის სახელით მომდევნო საკითხებში:

- სასწავლო პროგრამების შექმნა და განხორციელება
- სამეცნიერო, კვლევითი და სხვა აქტივობების ორგანიზება

- უმაღლესი განათლების შესახებ კანონის (ბრძანებები, აქტები) შესაბამისად ადაპტაციის პროცედურა და პროფესორების დანიშვნის პროცედურა
- საგარეო ურთიერთობები, აქტივობები
- შრომითი ურთიერთობები
- ფაკულტეტის თვითმართველობის აკადემიური ორგანოების და ფაკულტეტის შიდა ორგანიზაციის ჩამოყალიბება, უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან შესაბამისად
- დამატებითი აქტივობები და ფონდების გადანაწილება უნივერსიტეტის მმართველი ჯგუფის მიერ დადგენილ ფარგლებში

ნაწილი III

ფაკულტეტის აკადემიური თვითმართველობის ორგანოები

მუხლი 6. ფაკულტეტის თვითმართველობა უნდა დაკომპლექდეს აკადემიური საზოგადოების წევრებით პირდაპირი წესით ან აკადემიური თვითმართველობის ორგანოებით

- ფაკულტეტის აკადემიური თვითმართველობის ორგანოებია:
  - ფაკულტეტის აკადემიური საბჭო
  - დეკანი
  - ფაკულტეტის საბჭო
- ფაკულტეტის სხვა ორგანოა დეკანატი
- ფაკულტეტის აკადემიური საზოგადოება ნიშნავს ფაკულტეტზე მომუშავე აკადემიურ პერსონალს და ფაკულტეტზე რიცხულ სტუდენტებს

მუხლი 7. აკადემიური საზოგადოების წევრების სტატუსი

- აკადემიური საზოგადოების წევრების სტატუსი განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებაში (იხ. დტსუ წესდება, მუხლი 5)

მუხლი 8. აკადემიური საბჭო

- არის ფაკულტეტის პირველადი ორგანო სამეცნიერო და პედაგოგიური აქტივობების თვალსაზრისით

- განიხილავს სტრატეგიულ გეგმას, ფაკულტეტის აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან კონტექსტში
- ამტკიცებს ფაკულტეტზე განსახორციელებელ სასწავლო პროგრამებს
- ახორციელებს უფლებამოსილებას პროფესორების არჩევის პროცედურის და ნომინაციის დროს, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით
- ახორციელებს უფლებამოსილებას სხვა სფეროებში, როგორც ეს გაწერილია შიდა რეგულაციებით
- საბჭოს წევრების დანიშვნა და მოხსნა დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოს დეკანის მიერ
- საბჭოს წევრები უნდა იყვნენ პედაგოგები, მკვლევარები და მედიცინის სხვადასხვა სფეროს სხვა გამორჩეული სპეციალისტები
- აკადემიური საბჭოს წევრების ერთი მესამედი მაინც არ უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრი
- ფაკულტეტისსაბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი
- აკადემიური საბჭოს შესაძლებელია ყავდეს საპატიო და ასოცირებული წევრები.
- აკადემიური საბჭოს ასოცირებული წევრები ინიშნებიან დეკანის მიერ სამედიცინო დაწესებულებებიდან, რომლებშიც სტუდენტებს უტარდებათ მეცადინეობები
- საბჭოს საპატიო და ასოცირებულ წევრებს აქვთ საკონსულტაციო ხმის უფლება

მუხლი 9.აკადემიური საბჭოს სხდომები

- დეკანმა უნდა ჩაატაროს აკადემიური საბჭოს სხდომა სემესტრში ორჯერ მაინც. დეკანს აქვს ვალდებულება ჩაატაროს სხდომა თუ საბჭოს ერთი მესამედი მაინც ითხოვს ამას
- დეკანი თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს სხდომას. მისი არყოფნის შემთხვევში სხდომაზე თავმჯდომარე იქნება დეკანის მიერ უფლებამინიჭებული საბჭოს წევრი
- აკადემიურმა საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი რეზოლუციის თანახმად
- აკადემიურ საბჭოზე ქვორუმი შემდგარია, თუ წევრთა უმცირესობა მაინც ესწრება მას, თუ ეს სხვაგვარად არ არის დადგენილი
- რეზოლუცია უნდა გავიდეს თუ დამსწრე უმცირესობის ყველა წევრი აძლევს მას ხმას
- გადაწყვეტილება მტკიცდება რექტორის ბრძანებით
- საბჭოს სხდომების შედეგების და გეგმების გამოქვეყნება უნდა მოხდეს მათი დამტკიცებიდან ერთ კვირაში ფაკულტეტის ოფიციალური შეტყობინების დაფაზე ან საბჭოს სხდომის ოქმებში, რომლებიც შესაძლებელია გასაჯაროვდეს
- საბჭოს სხდომის დღის წესრიგის მომზადება, ასევე ადმინისტრაციული სამუშაო უნდა უზრუნველყოს მდივანმა
- საბჭოს სხდომის დეტალებიიმართებააკადემიური საბჭოს პროცედურული წესების შესაბამისად, რომელიც შიდა რეგულაციას წარმოადგენს

მუხლი 10. საბჭოს თანამშრომლობა აკადემიურ ავტორიტეტებთან და სხვა პირებთან

- ფაკულტეტის საბჭომ შესაძლებელია მოიწვიოს სხვა პირები სხდომაზე, თუ ეს აუცილებელია საკითხის გასარკვევად. მან ასევე შესაძლებელია მოითხოვოს რექტორის საბჭოს მოსაზრება

მუხლი 11. დეკანი

- დეკანი უნდა იყოს ფაკულტეტის წარმომადგენელი; ის მართავს მას და მოქმედებს მისი სახელით. დეკანი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე; მე-5მუხლით გათვალისწინებული დეკანის იურისდიქცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ დებულებას

კერძოდ, დეკანი:

- აყენებს წინადადებას ფაკულტეტის საორგანიზაციო ერთეულის დაფუძნების, ინტეგრაციის, შერწყმის, დაყოფის ან დაშლის შესახებ
- წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ფაკულტეტის მუშაობის და ორგანიზაციის შესახებ რექტორის საბჭოს
- ნიშნავს და იწვევს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს
- მოქმედებს უნივერსიტეტის სახელით ფაკულტეტის პერსონალის დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით
- დეკანმა უნდა უპასუხოს საბჭოს ან საბჭოს წევრების ნებისმიერ კითხვას ფაკულტეტზე მის ქმედებებთან დაკავშირებით
- დეკანი ინიშნება და თავისუფლდება რექტორის მიერ

მუხლი 12. დეკანის მოადგილეები

- როგორც წესი ფაკულტეტს ჰყავს დეკანის სამი მოადგილე
- დეკანის მოადგილეები ინიშნებიან და თავისუფლდებიან დეკანის მიერ საბჭოს აზრის გათვალისწინებით და რექტორთან შეთანხმებით
- დეკანისმოადგილეებიწარმოადგენენდეკანსდამათისაქმიანობისშესახებანგარიშვალდებულნიარიანდეკანისწინაშე
- დეკანისმოადგილეებმაუნდაჩაანაცვლონერთმანეთიგანკარგულებისთანახმად

მუხლი 13. ფაკულტეტის საბჭო

- დეკანსშეუძლია დააფუძნოს ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის მიერ განხორციელებული პროგრამებისთვის

- განიხილავს და აფასებს ინფორმაციასფაკულტეტის მიერ განხორციელებულ პროგრამებში რიცხულ სტუდენტთა და რეზიდენტთა აკადემიური მოსწრების და პროფესიული მზადების შედეგების შესახებ
- განსაზღვრავს სტუდენტთა და რეზიდენტთა პროგრესის (მათ შორის სემესტრული) შესაძლებლობას/შეუძლებლობას
- კოორდინირებას უწევს ფაკულტეტზე არსებულ კომიტეტთა მუშაობას, ურთიერთობას და/ან იძლევა (საჭიროებისას) ახალი კომიტეტის შექმნის რეკომენდაციას
- ზრუნავს ფაკულტეტზე არსებულ აკადემიურ და სარეზიდენტო პროგრამათა მდგრადობაზე; განიხილავს კურიკულუმისა და შეფასების კომიტეტთა წინადადებებს, ამზადებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ წინადადებებს
- განიხილავს ადმინისტრაციისა და აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის საკითხებს.
- განიხილავს და განსაზღვრავს მიდგომებს (ფორმა, შინაარსი, ა.შ) უნივერსიტეტის ოფიციალურ პუბლიკაციებში აკადემიურ პროგრამათა წარდგენისთვის

მუხლი 14. ფაკულტეტის საბჭოს შეხვედრები

- დეკანმა უნდა ჩაატაროს ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, ჩვეულებრივ, თვეში ერთხელ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში 3–ჯერ
- დეკანი თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომას, მისი არყოფნის შემთხვევაში დეკანის მიერ უფლებამოსილი საბჭოს წევრი იქნება სხდომის თავმჯდომარე
- ფაკულტეტის საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი რეზოლუციის თანახმად, რასაც (შედეგები და გეგმები) ამტკიცებს რექტორიბრძანების ფორმით
- საბჭოზე ქვორუმი შემდგარია თუ წევრთა უმცირესობა მაინც ესწრება მას, თუ ეს სხვაგვარად არ არის დადგენილი
- საბჭოს სხდომის დღის წესრიგის მომზადება, ასევე ადმინისტრაციული სამუშაო უნდა უზრუნველყოს მდივანმა
- საბჭოს სხდომის დეტალები იმართება საბჭოს პროცედურული წესების თანახმად.

მუხლი 15. მრჩეველი ორგანოები და კომიტეტები

- დეკანს შეუძლია შექმნას მრჩეველთა საბჭო, როგორც მისი მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო, შეუძლია დაარსოს მუდმივი და/ან დროებითი აკადემიური საკონსულტაციო კომიტეტები. კომიტეტების გადაწყვეტილებები განხილული უნდა იყოს როგორც რეკომენდაციები

ნაწილი IV

მუხლი 16. საორგანიზაციო ერთეული

ფაკულტეტი უნდა შედგებოდეს მომდევნო საორგანიზაციო ერთეულებისგან

- ძირითადი ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ პედაგოგიურ და სამეცნიერო აქტივობებს (დეპარტამენტები, ცენტრები, კლინიკები, ლაბორატორიები, სამეცნიერო საინფორმაციო ცენტრი)
- ერთეულები, რომლებიც ახორციელებენ ფაკულტეტის სხვა აქტივობებს (საგანგებო მიზნის განხორციელება)
- აღმასრულებელი ორგანო (დეკანატი)

მუხლი 17. ფაკულტეტის ორგანიზაცია

- ფაკულტეტის საორგანიზაციო ერთეულები დაფუძნდება, ინტეგრირდება, დაიყოფა ან დაიშლება დეკანის მიერ საბჭოს დასტურის შემთხვევაში, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი კანონმდებლობით
- ძირითადი ერთეულების დაფუძნება ხდება უნივერსიტეტის ბაზაზე და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობით
- ცენტრების და დეპარტამენტის ხელმძღვანელები (რომელთა ინტეგრალური ნაწილებია სასწავლო და/ან კვლევითი სპეციალობები და/ან მიმართულებები) ინიშნება დეკანის მიერ (რექტორის დასტურით)
- ფაკულტეტისა და სხვა იურიდიული პირის საერთო ერთეულის დაფუძნება ფაკულტეტის ქმედებების განსახორციელებლად უნდა მოხდეს დეკანის მიერ უნივერსიტეტის სახელით შექმნილი ხელშეკრულების საფუძველზე აკადემიურ საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ თუ ეს არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის წესდებასა და სამართლებრივ რეგულაციებს
- კლინიკური და პრაქტიკული ინსტრუქტაჟი მედიცინის სხვადასხვა სფეროში უნდა ჩატარდეს უნივერსიტეტის საავადმყოფოებსა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში. სამეცნიერო და კვლევით აქტივობები უნდა შესრულდეს უნივერსიტეტის და/ან სხვა სამედიცინო და სამეცნიერო დაწესებულებებში: დეტალები რეგულირდება საგანგებო სამართლებრივი რეგულაციით.

მუხლი 18. ძირითადი ერთეულები

- ძირითადი ერთეულების პერსონალი შედგება
  - საგნის პედაგოგებისგან, რომლებიც აგრეთვე მუშაობენ სამეცნიერო დისციპლინებში, რომლებსაც ფარავს ერთეულის საკითხები

- მკვლევარები და სხვა ძირითად ერთეულში დასაქმებული პერსონალი მათი შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად

- სხვა პირები, რომლებიც მუშაობენ ძირითად ერთეულში
  - გარე (მოწვეული) პედაგოგები, დოქტორანტები; სპეციალიზაციის პროგრამის სტუდენტები, დიპლომამდელი, სამაგისტრო და სხვა სტუდენტები
- ძირითად ერთეულთან ასოცირებული გარე სპეციალისტების მრჩეველთა ჯგუფი (ხელმძღვანელის დანიშნული); შესაძლებელია მოწვეულ იქნან საექსპერტო სხდომებზე ან ერთეულთან სხვა გზებით თანამშრომლობისთვის
- ძირითადი ერთეულის პედაგოგიური და სხვა კვლევითი პროფილები, მისი ორგანიზაცია და სხვა დეტალები აღწერილია საორგანიზაციო სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც გამოცემულია დეკანის ხელმძღვანელობით
- ძირითადი ერთეულის მართვას ახორციელებს დეკანის მიერ დანიშნული (კონკურსის წესით არჩეული აკადემიური პერსონალიდან) ხელმძღვანელი საბჭოს აზრის გათვალისწინებით. მოწვეული პედაგოგი, გამონაკლის შემთხვევაში, შეიძლება იყოს ხელმძღვანელი გარკვეული ვადით (ახალ არჩევნებამდე)
- ხელმძღვანელმა უნდა წარუდგინოს დეკანს შეთავაზებები:
- ფაკულტეტის და ძირითადი ერთეულის საქმიანობის შესახებ სწავლის, განათლების და კვლევის სპეციალიზაციისა და პროგრამების სფეროში
- შეიძლება მოითხოვოს უნივერსიტეტისგან მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა პერსონალის აქტივობებთან (საგანმანათლებლო, კვლევითი და სხვ.) დაკავშირებით
- ხელმძღვანელმა უნდა განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები დეკანთან, ფაკულტეტის და რექტორის საბჭოსთან, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებთან
- ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება იმოქმედოს ფაკულტეტის სახელით მხოლოდ დეკანის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

მუხლი 19. საგანგებო მიზნების ერთეულები

- საგანგებო მიზნების ერთეულის პერსონალმა უნდა აღასრულოს მოვალეობანი შრომითი ხელშეკრულების თანახმად

- საგანგებო ერთეულის ხელმძღვანელი ინიშნება რექტორის მიერ (ან კონკურსის წესით) დეკანთან შეთანხმებით; და ექვემდებარება დეკანს, ასრულებს მის დავალებებს, თუ აღნიშნული ერთეული ფუნქციონირებს ფაკულტეტის ფარგლებში.

მუხლი20. სამეცნიერო საინფორმაციო ცენტრი

- სამეცნიერო საინფორმაციო ცენტრი მონაწილეობას მიიღებს ფაკულტეტის ძირითადი საქმიანობის განხორციელებაში [შეიძლება შედიოდეს ბიბლიოთეკა და საინფორმაციო მომსახურება აკადემიური პერსონალისთვის, (ან ბიბლიოთეკამ

შეითავსოს ეს ფუნქცია), როგორც ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევით პროცესების ფუნდამენტური მხარდაჭერა].

- ცენტრის სპეციალიზაცია უნდა იყოს ფაკულტეტის საქმიანობის შესაბამისი
- სგც (სამედიცინო განათლების ცენტრი)

მუხლი21.დეკანატი

- დეკანატი არის ფაკულტეტის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს საორგანიზაციო ქმედებებს, მაკოორდინირებელ, საკონსულტაციო და რჩევით აქტივობებს, ინახავს ჩანაწერებს და განახორციელებს კონტროლს სწავლის, კვლევის პროცესებზე; პერსონალის კანონის, საგარეო ურთიერთობების და შიდა ადმინისტრირების აღსრულებაზე
- დეტალები გაწერილია დეკანატის შესახებ დებულებაში

მუხლი22.სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობა

- ფაკულტეტის და სხვა იურიდიული პირის საერთო ერთეულის დაფუძნება ფაკულტეტის ქმედებების განსახორციელებლად მომზადდება და შეიქმნება დეკანის მიერ უნივერსიტეტის სახელით შექმნილი ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის წესდებასა და სამართლებრივ რეგულაციებს
- სამედიცინო, პედაგოგიური და სხვა აღჭურვილობა და იურიდიული პირები შესაძლებელია ასრულებდნენ ფაკულტეტის მიზნებს ხელშეკრულების თანახმად
- მედიცინის სხვადასხვა სფეროში კლინიკური და პრაქტიკული ინსტრუქტაჟი (სწავლა, ტრენინგი, სხვ.) ტარდება უნივერსიტეტის საავადმყოფოებში და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში. სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები სრულდება ამ საავადმყოფოებში და დაწესებულებებში. დეტალებს არეგულირებს საგანგებო ხელშეკრულება და სამართლებრივი რეგულაციები.

ნაწილი V

ფაკულტეტზე სწავლა

მუხლი 23. ზოგადი დებულებები

- ფაკულტეტმა უნდა შეასრულოს სასწავლო და საგანმანათლებლო აქტივობები:
- დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში
- მოქალაქეთა მუდმივი განათლება უმაღლესი განათლების შემდგომი სპეციალიზირებული პროგრამების ჩათვლით

- ფაკულტეტმა უნდა შეასრულოს სპეციფიური აქტივობები საბაზისო და კლინიკურ დისციპლინებში
- სასწავლო პროგრამების (დმ-ის) კურსადმთვრებულებმა უნდა დადონ საზეიმო ფიცი

მუხლი 24. სასწავლო პროგრამებზე სტუდენტების მიღება

ფაკულტეტზე მიღება, მათ შორის განხილვის პროცედურები რეგულირდება დტსუ-ის მიღების შესახებ პროცედურების და წესების თანახმად (იხ. დტსუ-ში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, განათლების აღიარებისა და მობილობის წესის შესახებ დებულება); მიღების სხვა (და/ან დამატებით) პირობები უნდა დარეგულირდეს ფაკულტეტზე მიღების პროცედურების წესების თანახმად - (იხ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) ფაკულტეტზე მიღების პროცესების სპეციფიკაცია უნდა დამტკიცდეს საბჭოს მიერ.

მუხლი 25. სწავლა ფაკულტეტზე

უნივერსიტეტში სწავლის წესები მოიცავს სტუდენტების უფლებებსა და ვალდებულბებს და პირველ ეტაპზე პროცედურის წესებს; სტუდენტების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით პროცედურების განხილვა უზრუნველყოფილი (ასახული) უნდა იყოს უნივერსიტეტში სწავლის და გამოცდების შესახებ წესებში („მარეგულირებელი დოკუმენტი“); უფრო დაწვრილებით დეტალები ფაკულტეტზე სწავლასთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის განმარტებული უნდა იყოს დმ-ის სწავლის და გამოცდების შესახებ წესებსა და სადოქტორო პროგრამაში სწავლის წესებში, რაც ფაკულტეტის შიდა რეგულაციას წარმოადგენს.

მუხლი 26. სწავლის პირობები უცხოელებისთვის

უცხოელებმა ფაკულტეტზე უნდა ისწავლონ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის წესების შესაბამისად.

მუხლი 27. სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

- სტუდენტთა გაცვლის მართვის პრინციპები და წესები უნდა უზრუნველყოფილ იქნას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც შედგენილია უმაღლესი განათლების კანონის თანახმად (უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-2 მუხლის ჰ[44] და ჰ[48] ქვეპუნქტები; 49[1]-ე; 49[2]-ე; 52-ე და 52[1]-ე მუხლები) და მხარეების ურთიერთთანამშორმლობისა და მემორანდუმების საფუძველზე.
- დეკანთან კონსულტაციის შემდეგ რექტორმა უნდა წარადგინოს სტუდენტის შერჩევის დეტალური პირობები. პირობები უნდა გამოქვეყნდეს ფაკულტეტის საგანმანათლებლო ოფიციალურ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 28. სტუდენტთა წახალისება და შეღავათები

- დეკანმა უნდა წაახალისოს სტუდენტები, მიანიჭოს ჯილდო ან მატერიალური საჩუქარი.

- გრანტები (სტიპენდიები, ფულადი შეღავათები) მინიჭების წესები, სააპლიკაციო პროცედურა და განხილვის პროცედურები განმარტებულია დტსუ-ის შესაბამის დებულებებსა და შიდა რეგულაციის წესებში.

მუხლი 29. სტუდენტის მხრიდან დისციპლინის დარღვევა

სტუდენტების მხრიდან დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებული დეტალური დებულებები, დარღვევასთან დაკავშირებული სანქციები და დისციპლინარული პროცედურები უნდა იყოს მოცემული უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი30. სწავლის გადასახადი

უზრუნველყოფილი და ასახულია დტსუ-ის სტუდენტთა შინაგანაწესითა და სტუდენტთა ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

მუხლი31. სერტიფიკატები, დიპლომები, ხარისხები

- დიპლომს (დმ-ის, სადოქტორო პროგრამის) ხელი უნდა მოაწეროს დეკანმა და რექტორმა
- უწყვეტი განათლების პროგრამების კურსდამთავრებულებზე გაიცემა სერტიფიკატები უნივერსიტეტის უწყვეტი (დიპლომისშემდგომი, სარეზიდენტო და სხვ.) განათლების წესების თანახმად

- დეკანატი გასცემს ტრანსკრიპტს იმ სტუდენტებზე ვინც ჩააბარა გამოცდები ან უწყვეტი განათლების მონაწილეებზე, ვინც ვერ დაასრულა შესაბამისად სწავლა

მუხლი 32.ფაკულტეტის სამახსოვრო მედალი.

ფაკულტეტს შეუძლია მიანიჭოს მემორიალური მედალი თანამშრომლებს, სტუდენტებს, სხვა პირებს, ვინც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფაკულტეტის, მეცნიერების, განათლების და აკადემიური თავისუფლების განვითარებას. შეიძლება გადასცეს დეკანმა ან რექტორმა ფაკულტეტის (ან რექტორის) საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მედალის გაცემის წესების თანახმად.

მუხლი 33.ოფიციალური შეტყობინებების დაფა

- ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს ოფიციალური შეტყობინებების დაფა
- ოფიციალური შეტყობინებების დაფა უნდა იყოს გამორჩეული და მოთავსებული ფაკულტეტზე ადვილად მისაწვდომ ადგილას
- უნივერსიტეტის წესდებით, ასევე შიდა რეგულაციით უზრუნველყოფილი წერილობითი მასალები უნდა იყოს გამოკრული ოფიციალური შეტყობინებების დაფაზე.

ნაწილიVI

სტრატეგიული მიზნები, წლიური მოხსენებები

მუხლი 34. ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნები

- საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ინოვაციური აქტივობებში სტრატეგიული მიზნები შეადგენს ფაკულტეტის ფუნდამენტურ საპროგრამო დოკუმენტს
- ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნები ეფუძნება ერთეულის სტრატეგიულ მიზნებს
- ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნების მომზადება მთლიანობაში ფაკულტეტის ინტერესებს ეფუძნება
- ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნები წარმოადგენს შიდა საორგანიზაციო ცვლილებების საფუძველს, ახალი სასწავლო პროგრამ-(ებ)-ის მოსამზადებლად, არსებულ პროგრამათა რევიზირებისა და მოდერნიზაციისთვის, სამეცნიერო კვლევაზე ფოკუსირებისთვის

მუხლი 35. წლიური ანგარიში

- აქტივობების წლიური მოხსენება (ანგარიშები) და ეკონომიკური მენეჯმენტის წლიური მოხსენება მზადდება ყოველწლიურად ფაკულტეტზე არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე
- აქტივობების წლიური მოხსენებების კომენტარები უნდა გადაეცეს რექტორის საბჭოს დეკანის მიერ წლიური მოხსენების კომენტარისთვის და უნივერსიტეტის მმართველ ჯგუფთან მოხსენებისთვის
- წლიური მოხსენებების მონაცემებით ხდება სტრატეგიული მიზნების განხორციელება და შემდგომი სპეციფიკაცია

ნაწილი VII

ფაკულტეტის ეკონომიკური მენეჯმენტი

მუხლი 36. ბიუჯეტი

- ფაკულტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილი, რომლის მენეჯმენტს ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი დტსუ დამფუძნებელსა და მმართველ ჯგუფთან შეთანხმებით
- ფაკულტეტის ბიუჯეტი დაბალანსებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ხელს უწყობდეს პროგრამათა მდგრადობას, პროგრამათა განვითარების უზრუნველყოფას, უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების კვლევითი აქტივობების ხელშეწყობას, შტატის განვითარების აქტივობებს, სტუდენტთა განვითარების შესაძლებლობებს, ა.შ.

მუხლი 37. ეკონომიკური მართვის კონტროლი

- ეკონომიკური მენეჯმენტის კონტროლი უნდა განხორციელდეს რექტორის მიერ პერიოდულად ან საჭიროებისამებრ, მათ შორის ავტორიზირებული პირების მიერ
- ეკონომიკური მენეჯმენტის კონტროლის მიზნით ფაკულტეტის ინდივიდუალური თანამშრომლები ან ფაკულტეტი უზრუნველყოფს ყველა აუცილებელ დოკუმენტსა დასრულ ინფორმაციას ნებისმიერ დროს
- კონტროლის შედეგები მოხსენდება დამფუძნებელსა და მმართველ ჯგუფს, აისახება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მომზადებაში

ნაწილი VIII

აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის სხვა პერსონალი

მუხლი 38. ფუნდამენტური დებულებები

ფაკულტეტის თანამშრომელთა თანამდებობრივი პოზიცია განმარტებულია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის წესდებების, სხვა სამსახურების დებულებების, თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობაში.

მუხლი39. აკადემიური პერსონალის დამსაქმებელთან დაკავშირებული ურთიერთობები

- პროფესორები უნდა დასაქმდნენ უვადო ხელშეკრულებით; სხვა აკადემიური პერსონალი უნდა დასაქმდეს ფიქსირებული დროით არჩევნების პირობებით განსაზღვრული ვადით ან ხელშეკრულების საფუძველზე.
- დასაქმების ხელშეკრულება, სამუშაოს შესრულების შესახებ ხელშეკრულება ან შეთანხმება, ზოგადად დასაქმების ურთიერთობის შექმნა არ უნდა არღვევდეს კანონს
- აკადემიური პერსონალისთვის მიცემულმა სამუშაო ბრძანებებმა არ უნდა დაარღვიოს აკადემიური თავისუფლება და აკადემიური უფლებები

მუხლი 40. კონკურსის წესით დასაქმების პროცედურა

- აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით არჩევის (დაქირავების) პროცედურის წესები უნდა იყოს მოცემული კონკურსის წესით არჩევის (დაქირავების) პროცედურის წესებში, რაც ფაკულტეტის შიდა რეგულაციას წარმოადგენს
- კონკურსის წესით არჩევის (დაქირავების) პროცედურა შესაძლებელია ორგანიზებული იყოს სხვა თანამშრომელთა დასასაქმებლადაც, კერძოდ სამეცნიერო და კვლევითი პერსონალის

ნაწილი IX

საბოლოო დებულებები

მუხლი41. ინტერპრეტაციის წესი

წინამდებარე დოკმენტის საეჭვო ჩანაწერების შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს უნივერსიტეტის სადამფუძნებლო დოკუმენტის თანახმად.

მუხლი42. ძალაში შესვლა

- წინამდებარე დებულება ძალაში შევა დტსუ-ს წესდების ახალი რედაქციით რეგისტრაციისა ან/და ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ.